92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №20 (7143) 15 ოქტომბერი, 2025 წელი

მმართველმა პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება აღნიშნა, ოპოზიცია კი მარცხის მიზეზების ძიებაშია...

ზოგადად, არჩევნებისათვის მეტად პოლარიზებული გარემოს მიუხედავად—4 ოქტომბერს, საარჩევნო უბნებზე ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩატარდა.

მმართველმა პარტიამ—„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ყველა პოზიციაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მმართველი პარტიის მერობის უკლებლივ ყველა კანდიდატმა პირველივე ტურში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, ისე რომ ზოგან ეს გამარჯვება 100%-იანი მაჩვენებლითაც კი გამოიხატა.

☞2

მანუჩარ რობაქიძე კვლავ თერჯოლის მუნიციპალიტეტის არჩეული მერია... გილოცავთ!

მართალია, 4 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ დიდი დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ უკვე ცნობილ წინასწარ შედეგებში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ იქნება.

რაც შეეხება 4 ოქტომბრის არჩევნებს თერჯოლის მუნიციპალიტეტში უპირველესად უნდა ითქვას, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდა, ყველა საუბნო საარჩევნო კომისიამ, ასევე საოლქო კომისიამ მაღალპროფესიულად იმუშავა. ადგილი არ ჰქონია რაიმე შეფერხებას, არ ყოფილა საჩივრებიც.

თერჯოლის ოლქის საარჩევნო უბნებზე 4 ოქტომბერს ხმა მისცა 17402-მა ამომრჩეველმა ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 54.5 პროცენტმა.

მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატმა, მანუჩარ რობაქიძემ მიიღო ხმების 94,52%-ი, ხოლო სულიკო ზარნაძემ 5,48%-ი.

☞2

„თერჯოლობა—2025“
18 ოქტომბერი, 2025 წელი
გიწვევთ!

გვახსოვდეს აფხაზეთი!

სოხუმის დაცემის 32 წლისთავთან დაკავშირებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ლილუაშვილთან ერთად, აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

სამშობლოსათვის დაღუპული გმირების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა არქიმანდრიტმა ქრისტეფორე ცერცვაძემ.

ალექსანდრე გვენეტაძე—100

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ სოფელ ეწერში მცხოვრებ ალექსანდრე გვენეტაძეს ასი წლის იუბილე მიულოცა. მანუჩარ რობაქიძემ ასი წლის იუბილარს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

„თერჯოლობა 2025“
სადღესასწაულო პროგრამა

სადღესასწაულო პროგრამა დაიწყება 18 ოქტომბერს, 12:00 საათზე, ფეხბურთში ლაშა გოგიაშვილის სახელობის ტურნირის ფინალით (მინი სტადიონი, რუსთაველის ქუჩა №109).

ამ დღეს მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორიასა და ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში მოეწყობა შემოქმედებითი კუთხეები, საგამოფენო სივრცე - ტურიზმის, ხელნაკეთი ნივთების, რეწვის ოსტატების, ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები;

გაიმართება მოსწავლე-ახალგაზრდების კონცერტი; საზეიმო მსვლელობა თერჯოლის ქუჩებში ცხენოსნებითა და ფაიტონით, მეარღნის თანხლებით; ილუზიონისტის შოუ, სახის მოხატვა, ფერადი საპნის ბუშტების შოუ, ფოტო-ვიდეოს გადაღება Gifit აპარატით, მრავალფეროვანი ატრაქციონები;

სამეწარმეო მაკეტი საუკეთესო ღვინის ძიება, იმერული სამზარეულო, ეთნოგრაფიული კუთხეები, საოჯახო მარნები, კულინარიული მასტერკლასები; კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობით;

საპატიო თერჯოლელების, საუკეთესო ღვინის და წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება;

18 საათზე დაიწყება დასკვნითი გალა კონცერტი.

შედგება საზეიმო ფოიერვერკი!

მმართველმა პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება აღნიშნა, ოპოზიცია კი მარცხის მიზეზების ძიებაშია...

1☞

კატასტროფული შედეგი აჩვენეს გასულ წელს საპარლამენტო არჩევნებში წარმატებით მონაწილე ორმა ოპოზიციურმა პარტიამ „ლელომ“ და „გახარია საქართველოსათვის“, რომლებმაც გასული წლის არჩევნების შედეგებთან შედარებით თითქმის ნახევარი ამომრჩეველი დაკარგეს.

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც იყვნენ ბოიკოტის რეჟიმში—ისინი რამდენადაც თავად აცხადებდნენ, დიდ იმედებს ასევე არჩევნების ამ დღეზე—4 ოქტომბერზე ამყარებდნენ, გეგმავდნენ დიდ საპროტესტო აქციას ხელისუფლების მშვიდობიანი დამხობის ლოზუნგით. მაგრამ, საკუთარი თავის ხარაკირი უფრო გამოუვიდათ და გაუმართლებელი ძალადობრივი ქმედებისათვის (პრეზიდენტის სასახლეზე თავდასხმა და ა.შ.), იმ დღის ორგანიზატორები: მურთაზ ზოდელავა, პაატა ბურჭულაძე, ირაკლი ნადირაძე, პაატა მანჯგალაძე და ლაშა ბერიძე საპატიმროში აღმოჩნდნენ. ყველა მათგანს ბრალდებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი წაუყენეს, რაც სასჯელის ზომად 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მისანიშნებელია, რომ აღნიშნულ პირთა გარდა დაპატიმრებულია პროტესტის რამდენიმე სხვა მონაწილეც. არაა გამორიცხული, რომ მათმა რაოდენობამ საბოლოოდ რამდენიმე ათეულიც კი შეადგინოს...

თავის მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურები დაბეჯითებით მოუწოდებენ საქართველოს მოქალაქეებს პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომ თავი შეიკავონ და არ დაუშვან ძალადობა, რადგან ყოველი ასეთი ფაქტის ჩამდენი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში წყლის ინფრასტრუქტურის მოწყობის მასშტაბური პროექტი დასრულდა

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე სოფელ რუფოთსა და ტელეფაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის დასრულებულ სამუშაოებს გაეცნო და მოსახლეობას შეხვდა.

მერის განცხადებით, აღნიშნულ სოფლებში სასმელი წყლის მრავალწლიანი პრობლემა გადაჭრილია. ახალი წყალმომარაგების სისტემით უკვე სარგებლობს დაახლოებით 250 ოჯახი, ხოლო დარჩენილ 600 ოჯახში წყლის შეყვანისა და დამონტაჟების სამუშაოები აქტიურად გრძელდება.

თერჯოლა–რუფოთი–ტელეფას წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსდა და მისი ღირებულება 8,5 მილიონი ლარია.

სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდა: აშენდა წყლის გამწმენდი ნაგებობა და რეზერვუარი, მოეწყო სატუმბი სადგურები, 4,65 კმ მაგისტრალური მილი და 44,5 კმ წყალმომარაგების ქსელი, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის უწყვეტ, 24-საათიან წყალმომარაგებას.

მანუჩარ რობაქიძე კვლავ თერჯოლის მუნიციპალიტეტის არჩეული მერია... გილოცავთ!

რაც შეეხება პარტიებს:

3 „კონსერვატორები საქართველოსთვის“—469 ხმა (2,89%)
8 „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“—133 ხმა (0.82%)
9 „ძლიერი საქართველოსთვის ლელო“ —1189 ხმა (7,31%)
25 „გახარია საქართველოსთვის“—390 (2,40%)
41 „ქართული ოცნება“—14074 (86,58%)

ნაჩვენები შედეგების მიხედვით საკრებულოში, სადაც პარტიული სიებით გასულთათვის 15 ადგილია გამოყოფილი, 13 მანდატს მიიღებს „ქართული ოცნება“, 1 მანდატს „ლელო“ და ერთი მანდატი გადანაწილდება კანონის შესაბამისად.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცივე მაჟორიტარი დეპუტატის მანდატს მმართველი პარტიის წარმომადგენლები მიიღებენ:

მაჟორიტარული ოლქი	სახელი	გვარი	წარმდგენი
49.01 ქ. თერჯოლა	ზურაბი	ჩხიკვაძე	41. „ქართული ოცნება“
49.02 ქ. თერჯოლა	ელისო	მურადაშვილი	41. „ქართული ოცნება“
49.03 ალისუბანი	ბადრი	ბუცხრიკიძე	41. „ქართული ოცნება“
49.04 ახალთერჯოლა	ბიძინა	ბუცხრიკიძე	41. „ქართული ოცნება“
49.05 ბარდუბანი	გოჩა	ვერულაშვილი	41. „ქართული ოცნება“
49.06 გოგნი	რამაზი	ლორთქიფანიძე	41. „ქართული ოცნება“
49.07 გოდოგანი	გრიგოლ	გიორგაძე	41. „ქართული ოცნება“
49.08 ეწერი	მამული	კოვზირიძე	41. „ქართული ოცნება“
49.09 თუზი	ომარი	ჯიხვაშვილი	41. „ქართული ოცნება“
49.10 კვახჭირი	მირზა	აფრიდონიძე	41. „ქართული ოცნება“
49.11 ნახშირღელე	ლაშა	ლანჩავა	41. „ქართული ოცნება“
49.12 რუფოთი	შალვა	ჭანკვეტაძე	41. „ქართული ოცნება“
49.13 ზედა საზანო	დავითი	გოგბერაშვილი	41. „ქართული ოცნება“
49.14 ზედა სიმონეთი	გიორგი	ქასრაშვილი	41. „ქართული ოცნება“
49.15 სიქთარვა	ჯემალი	ისაკაძე	41. „ქართული ოცნება“
49.16 ქვედა სიმონეთი	გიორგი	ბრეგაძე	41. „ქართული ოცნება“
49.17 ღვანკითი	იუზა	უგრეხელიძე	41. „ქართული ოცნება“
49.18 ჩხარი	გიორგი	ყაზაიშვილი	41. „ქართული ოცნება“
49.19 ძევრი	მანუჩარი	ფანჩულიძე	41. „ქართული ოცნება“
49.20 ჭოგნარი	გიორგი	ბერეკაშვილი	41. „ქართული ოცნება“

ვულოცავთ ყველას, ვინც თვითმმართველობაში ასეთი დიდი ერთსულოვნებით იქნა არჩეული. იმედია, რომ თქვენ ყოველმხრივ გაამართლებთ ამომრჩევლის ასეთ მნიშვნელოვან მხარდაჭერას და შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის, ჩვენი თერჯოლის და მისი სოფლების შემდგომი განვითარებისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ოქტომბრის თვის განვლილ პერიოდში თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსი სხდომა ორჯერ გაიმართა, რომლებსაც საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ბადრი ბუცხრიკიძის, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ბიძინა ბუცხრიკიძის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, თემურ ქოჩიაშვილის და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, შალვა ჭანკვეტაძის მიერ წარმოდგენილ საკითხებს.

აღნიშნული საკითხები საკრებულოს სხდომამდე განიხილეს საკრებულოს შესაბამისი კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე.

სხდომებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც არჩეულ ღირსეულ ადამიანს შეეფერება, მეორედ არჩეულმა მერმა უპირველესად მადლობის სიტყვით მიმართა ყველას, ვისი თანადგომითაც მან ასეთი საპასუხისმგებლო დავალება ახალი ოთხწლიანი ვადით მიიღო.

ჩემო ძვირფასო და გამორჩეულო თერჯოლელებო, 19 ადმინისტრაციული ერთეულის - ქალაქისა და 45 სოფლის მაცხოვრებლებო!

მინდა, თქვენს მიმართ კიდევ ერთხელ გამოვხატო განსაკუთრებული პატივისცემა და მადლიერება იმ უპრეცედენტო შედეგის გამო, რომელიც 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თერჯოლამ აჩვენა.

ეს გამარჯვება კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს, რომ თერჯოლა იყოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული მუნიციპალიტეტი მთელი იმერეთის მასშტაბით და არა მარტო.

ძვირფასო თერჯოლელებო!

2023 წლის 29 აპრილის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ოფიციალურად, თერჯოლის მოსახლეობის მიერ მონიჭებული ლეგიტიმაციით გავხდი ამავე ქალაქის მერი, მქონდა პატივი და შესაძლებლობა მემსახურა ჩემი მშობლიური თერჯოლისა და მისი მოსახლეობისთვის. ამ დროის განმავლობაში ჩართული ვიყავი ფერხულში, სადაც სწორედ თერჯოლის მუნიციპალიტეტის თითოეული მაცხოვრებელი იყო ჩემი პირველი გულშემატკივარი, მრჩეველი და თანამებრძოლი. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც თქვენ ყოველ დღე მაჩვენებთ ხან სიტყვით და ხანაც საქმით!

მე დღეს ვარ ამაყი, რომ თერჯოლა არის უკეთესი, ვიდრე იყო წლების წინ და ჩვენ ეს ერთად შევძელით. უკეთესი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებით, რომლის ფარგლებში უამრავ ოჯახს მიეცა ღირსეული საცხოვრისი. უკეთესი საგანმანათლებლო და კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებებით, რაც თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობას განვითარების შესაძლებლობას სთავაზობს. ამასთან, თერჯოლას დღესდღეობით გამოარჩევს ეკონომიკური აღმავლობა, სპორტული აქტივობა და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაც ჩვენი ქალაქის კრედოდაც კი იქცა.

ამ გამარჯვებას დაფასება სჭირდება და პირობას გაძლევთ, რომ ჩვენ ერთად ვაქცევთ თერჯოლას უფრო განვითარებულ, უსაფრთხო, სოციალურად გამართულ, თანასწორი შესაძლებლობებითა და ახალგაზრდების კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ქალაქად, სადაც ახალგაზრდების გონივრული და ფიზიკური განვითარების რეალური პერსპექტივა და ხანდაზმულებზე ზრუნვა შერწყმული იქნება ერთმანეთს. და რაც მთავარია, ვაქციოთ თერჯოლა ისეთ ქალაქად, სადაც ყველას შეუძლია იცხოვროს მშვიდ, დაცულ, თითოეულ ადამიანზე ორიენტირებულ, ღირსეულ გარემოში.

მშვიდობა ის ფუნდამენტური საძირკველია, რომელზეც მომავალი უნდა აიგოს.

ამასთან, განსკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ,,ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველოს" დიდ ოჯახს, რომ მაძლევს შესაძლებლობას ვიყო ჩემი თერჯოლელების სამსახურში. ჩემთვის ეს დიდი პატივია.

როცა ქვეყანაში სტაბილურად ვითარდება ეკონომიკა, განათლება, ჯანდაცვა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, თითოეულ მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა, სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი და თავისი ნიჭიერებით მიღწეული წარმატებით სამშობლო აამაყოს.

ჩვენ, ერთად, ერთმანეთის სიყვარულით, თანადგომით და ერთგულებით კვლავ ბევრჯერ გავიმარჯვებთ!

მშვიდობა საქართველოს, მეტი განვითარება თერჯოლას!

მანუჩარ რობაქიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი

არჩევნების შემდგომი კვირის პირველივე დღეს, ახლადარჩეულმა მერმა, მოადგილეებთან ერთად, პირველივე საქმიანი შეხვედრა გამართა მერიის სამსახურების და ა(ა)იპების ხელმძღვანელებთან, სადაც ხაზი გაესვა მათი თანადგომისა და საქმიანობის მნიშვნელობას, ისაუბრეს გუნდური მუშაობის დიდ აუცილებლობაზე. ისიც ითქვა, რომ ეს საქმიანობა, რომელიც საბოლოო სასიკეთო შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული, ვერ იტანს უპასუხისმგებლობას და ბუნებრივია ასეთ მოხელეს მათ გვერდით არ ექნება ადგილი.

ამ პირველივე შეხვედრაზე სამომავლო ბევრ საქმეზე იმსჯელეს. ხაზი გაესვა ამომრჩევლებთან ჩატარებულ შეხვედრებზე გამოთქმულ საკითხებზე ოპერატიული რეაგირების აუცილებლობას და სხვა. შეკრებილთ, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა მაკა ასათიანმა დაწვრილებით გააცნო სახალხო დღესასწაულის „თერჯოლობა-2025“ პროგრამა.

მანუჩარ რობაქიძე: თერჯოლის უკეთესი მომავალი ნამდვილად ჩვენს ხელშია!

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, დავასრულეთ მოსახლეობასთან შეხვედრა. თითოეულმა შეხვედრამ მოგვცა ახალი ენერგია და იმედი, რომ ერთად ნამდვილად შეგვიძლია ცვლილებების მოტანა. ვიცი, რომ წინ ბევრი საქმე გვაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ – ერთად უფრო ძლიერები ვართ და ერთად შევძლებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის კიდევ უფრო განვითარებას.

ახლა კი მინდა უკვე განხორციელებულ პროექტებზე გესაუბროთ.

ჩვენი მმართველობის პერიოდში, მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ – მათ შორის ყველაზე მასშტაბური სოფელ ახალთერჯოლაში, რუფოთსა და ტელეფაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა. წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრა და ასობით ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა უწყვეტი წყლის მიწოდებით.

მოსახლეობა ამ პროექტებს აფასებს, როგორც „საუკუნის პროექტი“.

ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში არსებული, 18 სოციალური პროგრამა, რომლითაც დახმარებას ვუწევთ ჩვენს მოსახლეობას. აღნიშნული პროგრამებიდან ვერ გამოვყოფ რომელიმე ერთს, რადგან თითოეული მათგანი მორგებულია საჭიროების მქონე ბენეფიციარზე. ჩემთვის ძალიან საამაყოა, რომ მიმდინარე წლის ჩათვლით უკვე 50 სოციალურად დაუცველ ოჯახს აუშენდა საცხოვრებელი სახლი.

საგანმანათლებლო სფეროში განხორციელებულ პროექტებსაც მინდა შევეხო, პროექტები, როგორიცაა სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია. ასევე, გამოვყოფდი, ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოებს, სადაც მოეწყო რამდენიმე სკვერი, რეაბილიტირდა ქალაქის ცენტრალური ქუჩა და ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები.

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრს და ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო-საგანმანათლებლო სკოლას.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 120 კილომეტრამდე საავტომობილო გზას ჩაუტარდა სრული კაპიტალური რეაბილიტაცია.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, ასეულობით კერძო და მრავალსართულიანი სახლის მეპატრონეს გაეწია დახმარება სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალებით.

ეს მხოლოდ მცირედი მაგალითია იმისა, რომ შედეგზე ორიენტირებული მუშაობა კონკრეტულ სარგებელს აძლევს თითოეულ ოჯახს, თუმცა მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით.

ჩვენს გვერდით დგანან ღირსეული მაჟორიტარობის კანდიდატები, რომლებიც მზად არიან თითოეულ ოლქში თავიანთი პასუხისმგებლობა აიღონ და გულწრფელად ემსახურონ საზოგადოებას. სწორედ ეს ერთიანობაა ჩვენი მთავარი ძალა – ხელისუფლების, გუნდის და მოსახლეობის თანამშრომლობა.

ჩვენ არამხოლოდ კამპანიის ფარგლებში, არამედ ყოველდღიურ რეჟიმში ვხვდებით ჩვენს მოსახლეობას სხვადასხვა სოფელში და უბანში.

შეხვედრებზე ვსაუბრობთ იმ პრობლემებზე, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს ხალხს – იქნება ეს სოციალური საკითხები, ინფრასტრუქტურა თუ სოფლის მეურნეობის გამოწვევები. თითოეული საუბარი და თითოეული თბილი სიტყვა გვახსენებს, რომ სწორი გზით მივდივართ.

თერჯოლის უკეთესი მომავალი ნამდვილად ჩვენს ხელშია!

ღირსეული აღიარება სწავლებისა და აღზრდის მთავარ ძალას

პედაგოგებით, მონაწილე მოსწავლეებით და მათი მშობლებით, საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებით სავსე მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სხდომათა დარბაზში, 28 სექტემბერს, სრულ 12 საათზე, სტუმრები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკებიც მობრძანდნენ და შეივსო „გადანახული“ სკამების ორი რიგიც. სამარისებულ სიჩუმეში პირველ მხატვრულ ნომრად შესრულდა ცეკვა „ქართული“, მას მოჰყვა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ქალბატონ ქეთევან შეყრილაძის სიტყვა: „ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო“... „ჰოდა ეს ცეკვა, ვფიქრობ, შესანიშნავი შესავალია, რომელშიც იკითხება ჩვენი მეობა, წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც... გვაამაყებს წარსული, გვაფიქრებს აწმყო და გვაიმედებს მომავალი, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს მომავალი“.

ქალბატონმა ქეთევანმა შუადღემშვიდობისა უსურვა დარბაზში მსხდომთ და 28 სექტემბერს გამორჩეული დღე უწოდა. „აქ, ამ დარბაზში იმიტომ შევიკრიბეთ, რომ ყველა ერთად მოვეფეროთ, ყველამ ერთად მადლობა ვუთხრათ საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენელს, მასწავლებელს და გაიმეორა სიტყვები, რომელიც ამშვენებდა სცენას—„მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი“. „და ეს არ არის მხოლოდ სიტყვები—საქართველოს მთავრობის ინიციატივით 27 ოქტომბერი მასწავლებლის ეროვნულ დღედ გამოცხადდა და მასწავლებლის ეროვნული პრემია დაწესდა. რესპუბლიკის დონეზე დასაჯილდოებელ პედაგოგთა რაოდენობა განსაზღვრულია და რადგან სურვილი გვაქვს უფრო მეტმა მასწავლებელმა მიიღოს სითბო და სიყვარული, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და გადაწყვეტილებით, ეს ლამაზი ღონისძიება მუნიციპალურ დონეზეც იმართება“—თქვა ქალბატონმა ქეთევანმა.



თერჯოლას ახსოვს 2024 წლის ოქტომბერი, იგივე დარბაზი. მაშინ პირველად გაიმართა ასეთი ღონისძიება და ათი საუკეთესო თერჯოლელი პედაგოგი დაჯილდოვდა. მაშინაც, ღონისძიების ორგანიზატორი იყო საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ფინანსური მხარდამჭერი და თანამოაზრე მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი. ქალბატონმა ქეთევანმა მადლობა გადაუხადა სამივე რგოლს, მათ ხელმძღვანელებს და სამადლობელი ბატონ მანუჩარ რობაქიძის და გიორგი ბარათაშვილის მისამართით არაერთხელ გაიმეორა.

დღეს მზერა მიპყრობილია მასწავლებლის მდგომარეობაზე, მის დღევანდელობაზე და მომავალზე, უკეთესობისკენ სვლა არა მარტო მორალურ-ფსიქოლოგიური, არამედ მატერიალური თვალსაზრისითაც ხელშესახებია. მასწავლებლისადმი საზოგადოების მიერ დაკისრებული პასუხისმგებლობა და მისდამი გამოჩენილი ყურადღების გამომხატველი სიდიდეები ერთმანეთის შესატყვისია ისე, როგორც არასდროს.

და დგას მასწავლებელი მეცნიერებასა და აღსაზრდელს შორის, როგორც საიმედო ბურჯი, რომელმაც მეცნიერული აზრი, ცოდნა მოსწავლეს უნდა გადასცეს არა მექანიკურად, არამედ გააზრებულად, ისე, რომ ცოდნისაკენ მიმავალი გზა მომქანცველი კი არა, საინტერესო, მეცადინეობის სურვილის აღმძღვრელი პროცესი იყოს. მასწავლებელი, როგორც სწავლებისა და აღზრდის მთავარი ძალა, ჯერ თვითონ უნდა იყოს განათლებული, მეცნიერების საფუძვლებს ღრმად დაუფლებული, რომელიც არ უნდა ჩამორჩეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

ასეთი აღმზრდელი თერჯოლის სკოლებში ბევრია. ამჯერად ქალბატონმა ქეთევანმა სცენაზე რიგრიგობით იხმო და მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავი, ყოვლისმომცველი სიტყვებით მიაწოდა ინფორმაცია დარბაზს თითოეულის განვლილი გზის შესახებ.

მაშ ასე, ვიცნობდეთო... და რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ამ თანმიმდევრობით წარადგინა ისინი... ხალხით სავსე დარბაზი ფეხზე წამოუდგა ქვეყნის ჰიმნს.

თინა ამბროლაძე—თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოდოგნის საჯარო სკოლა

1974 წლიდან დგას პედაგოგიური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს გზაზე, როგორც თავად ხუმრობით ამბობს, სკოლებისა და სამსახურის შეცვლა მისი შვილებივით უყვარდა.

კარიერა დაიწყო ახალთერჯოლის საჯარო სკოლაში, სადაც მათემატიკას ასწავლიდა და დირექტორის მოადგილედაც მუშაობდა, შემდეგ გზა გაგრძელდა ტყიბულამდე, მერე ნაგარევის საშუალო სკოლაში დირექტორად დაინიშნა, 1994 წლიდან დღემდე კი გოდოგნის საჯარო სკოლის მასწავლებელია. პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე თავისი შრომისმოყვარეობით, გამოცდილებითა და დაუღალავი შრომით ბევრი ღირსეული ადამიანი აღზარდა.

მისი დევიზია „სიცოცხლე ღირებულია მხოლოდ მისთვის, რომ შექმნა მათემატიკა და ასწავლო იგი“.

რუსუდან უსუფაშვილი—თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

დაახლოებით ხუთი ათეული წელია, რაც ეს ქალბატონი თერჯოლაში მოვიდა და, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ ოდესღაც ამ ქალაქის კოლორიტი გახდებოდა.

ბარაქიანი ქიზიყის შვილმა, კოხტა და ზრდილი იმერლების ადათიც შეითვისა და მკაფიოდ თქვა თავისი სათქმელი, დღეს კი თავისთავად, ცხადია, ეს ღონისძიება მის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნებოდა...

ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის ლეგენდარული თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ფიზიკოსი, რომლის სიყვარულიც სკოლისადმი ფიზიკის კანონებს სცდება და კოსმოსამდე აღწევს.

თამარ გოგბერაშვილი—თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ თუზის საჯარო სკოლა

პედაგოგი, 52-წლიანი სტაჟითა და ენციკლოპედიური განათლებით!

ადამიანი, რომელმაც, მისივე მოსწავლეების თქმით, მათ საგანთან ერთად ცხოვრებაც ასწავლა. ყოფილი დირექტორი, რომელმაც გაერთიანა და საერთო წარმატებული მიზნისკენ მიმართა სასკოლო საზოგადოება!

ის დღესაც კეთილსინდისიერად იღწვის მოსწავლეთა განვითარებისათვის, რაშიც მთელ გულსა და ერუდიციას დებს!

ქალბატონი თამარი თავისი გამოცდილებითა და პედაგოგიური ოსტატობით ამჟამადაც ინსპირაციის წყაროა ბევრი მოსწავლისა თუ პედაგოგისათვის!

ზინა ზარნაძე—თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოს საჯარო სკოლა

არიან ადამიანები, რომელთაც ამქვეყნად განსაკუთრებული მისიის ასრულება ხვდათ წილად. ისინი ცდილობენ თავიანთი მოღვაწეობით ნათელი კვალი გავლონ.

ეს ქალბატონიც სწორედ ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება.

უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელსა და სკოლას დაუბრუნდა და დღემდე მუხლჩაუხრელად, უშრეტი ენერგიითა და მონდომებით ემსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს.

მისთვის უამრავი მოზარდის გონებრივ და სულიერ გამობრძმედაში მონაწილეობა, მათი პატივისცემა და მადლიერება ყველაზე მეტი ჯილდოა.

ლალი ვერულაშვილი—თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალთერჯოლის საჯარო სკოლა

ჩვენს ღვაწლმოსილ, ამაგდარ პედაგოგთა გვერდით, რომლებმაც „იტვირთეს დღის სიმძიმე და სიცხე“ დაუღალავად შრომობენ „მუშაკნი მეათერთმეტე ჟამისანი“....

მტკიცენი და თავდაჯერებულნი დიდი პროფესიონალიზმით, ხშირად ენთუზიაზმითა და ბავშვებისადმი უსაზღვრო სიყვარულით ძერწავენ თავიანთ გაკვეთილებს და ყოველდღე თითო აგურს დებენ მათი არა მხოლოდ ცოდნის, არამედ სულის მშენებლობაშიც...

სკოლაში ამ ქალბატონის მოღვაწეობა ნახევარ საუკუნეს ითვლის. მასწავლებელთა ოჯახის სანიმუშო წარმომადგენელი და ცნობილი ფოლკლორული ანსაბლ „იამეს“ წევრია.

მართლია, მხოლოდ სიმღერით სოფელი არ შენდება, მაგრამ მის განვლილ გზას, მის დიდ და სასახელო ოჯახს თუ გადაავლებთ თვალს, გულს მართლაც აემღერება.

ნინო გვენეტაძე—თერჯოლის მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემის №2 საჯარო სკოლა

დარბაზში მსხდომთა შორის ფუტკარივით ფუსფუსა შრომელი სათნო ქალბატონია, რომელიც სხვადასხვა სკოლაში მუშაობს, მაგრამ ზრუნვას ერთნაირად უნაწილებს მოსწავლეებს.

იგი ფიზიკოსია... იმავდროულად რელიგიური, ეკლესიური, მორწმუნე.

როგორც თვითონ ამბობს მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს ხელს არ უშლის, პირიქით, ფიზიკა და რწმენა ერთმანეთს ავსებს.

მართლაც ღმერთისგან ხელდასმული უნდა იყოს ადამიანი, რომელიც იმდენს შეძლებს, რამდენიც ქალბატონმა ნინომ შეძლო და გაიკეთა.

დათო ჩუბინიძე—თერჯოლის №1 საჯარო სკოლა და კერძო სკოლა „მზეკაბანი“

41 წელია (თმის სრულ გათეთრებამდე) მასწავლებელია. სულ რაღაც სამი დღის წინ (25 სექტემბერს) იუბილარი გახლდათ, მაგრამ მისი ენერგიითა და მოსწავლეთა შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, სულაც არ ჰგავს პენსიონერს.

მეუღლეც პედაგოგი ჰყავს, შვილები კი პროფესიით ექიმები არიან.

ორი შვილიშვილის ბაბუობა მისთვის მთავარი სტატუსია....

მის მოსწავლეებს განსაკუთრებით უყვართ ფიზიკის გაკვეთილი, ბევრმა

☞7

მათი შემოქმედებითი ქურა

საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ ერთ-ერთი აქტივობა იყო ხატვის კონკურსი. კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები გაზეთმა „თერჯოლამ“ უკვე გააცნო მკითხველს.

მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნახატით გაფორმდა კალენდარი—მე ვირჩევ პროფესიას, რომელიც საჩუქრად გადაეცა პროექტში ჩართულ მონაწილეებს, სკოლებს, დასკვნით ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს.

ნახატებმა და შესაბამისად კალენდარმა მოწონება დაიმსახურა. დევს ახლა იგი მრავალ ოჯახში, როგორც სამახსოვრო.

ჩვენ ერთი კითხვით მივმართეთ იმ მოსწავლეებს, რომელთა ნახატებით გაფორმდა კალენდარი. თითოეულმა სხვადასხვანაირად თქვა სათქმელი, მაგრამ სიტყვა „ფიქრი“ ყველამ ახსენა.

ბავშვები, რომლებიც არავის ბაძავენ

და გამახსენდა, ვინ იცის როდის, ან სად წაკითხული ორი მხატვრის ხატვაში გაჯიბრების ამბავი: მხატვრებს სურათები სამ დღეში უნდა დაეხატათ, ერთი მაშინვე იწყებს ხატვას, მეორე ფიქრში ატარებს ორ დღეს, ერთ დღეს კი ხატვაში. გაიმარჯვა მეორემ.

დიახ, ეს ბავშვები არავის ბაძავენ, რასაც აკეთებენ მათია. იციან, რომ მიმბაძველობა დამღუპველია, ისინი ფიქრობენ...

მხატვრობა მშვენიერებაა

ადამიანი ხელოვნებით, კერძოდ ხატვით, ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა და პირველ შედეგრებს ქმნიდა, როცა არც სახლი ჰქონდა და არც სამოსელი. ასეთ პირობებში იჯდა და ცხოველთა ძვლებსა და ეშვებზე ტვიფრავდა და კედელზე ხატავდა ცხოველებს, ნადირობის სცენებს. საუკუნეები გავიდა და აქამდე მოვედით, თანდათან განვითარდა უკვდავი ხელოვნება.

თერჯოლელი მოსწავლეებიც ივითარებენ მხატვრულ გემოვნებას, აქვთ ხედვითი მეხსიერება და დაკვირვების უნარი. ისინი უმადლიან პედაგოგებს, თერჯოლის სამხატვრო სკოლას, მშობლებს ხელის შეწყობისთვის, საგანმანათლებლო რესურსცენტრს ამ პროექტისთვის, რადგან მიეცათ შესაძლებლობა გამოევლინათ ნიჭი...

გაზეთის ამ ნომერში გთავაზობთ: ბარბარე მარუაშვილის, ნიტა კირკიტაძის, ვანო ძოწენიძის, ლიზი ფანჩულიძის, ნინი ვაშაყმაძის, მართა ტყეშელიაძის, ნატა კენჭოშვილის ნახატებს და პასუხებს ჩვენს ერთადერთ კიხვაზე.

კითხვა: რა თქვით ამ ნახატით, რა ჩანაფიქრი განახორციელეთ, რამდენად უკავშირდება იგი პროექტს „ვირჩევ პროფესიას“.

ბარბარე მარუაშვილი, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე (სწავლობს თერჯოლის სამხატვრო სკოლაში).

მე კალენდრის გარეკანი გავაფორმე. ცნობილი იყო ჩემთვის რესურსცენტრის პროექტი. შევეცადე და ნახატით წარმოვადგინე ყველა—თორმეტივე პროფესია. დავიწყე გერბით,

რითაც პროფესია „დიპლომატიური ურთიერთობები“ წარმოვადგინე, წიგნებით—„განათლება“, ყელსაბამი-საყურეებით—„არქეოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა“, ჩაქუჩით—„სამართალი და იურისპუდენცია“, ათლარიანით—„ფინანსები და საბანკო საქმე“, ნიღბებით—„კულტურა“, გოდოგნის თამარ მეფის ხიდით—„არქიტექტურა და დიზაინი“, ტურისტი ხიდზე—„ტურიზმი“, თასზე გველით—„მედიცინა“, ხიდზე ჯარისკაცით—„თავდაცვა“, ტანმოვარჯიშე—„სპორტი“, ვენახის ტოტები და ყურძენი—„სოფლის მეურნეობა“.

ნიტა კირკიტაძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე.

ხატვა ძალიან მიყვარს. მონაწილეობა მივიღე პროექტში „ვირჩევ პროფესიას“. ჩემი ნახატების თემაა „უცნაური არქიტექტურა“. დავხატე სოკოს ფორმის სახლი. ნახატის შექმნისას შთაგონების წყარო გახდა ბუნებაში არსებული ორგანული ფორმები და ზღაპრული სამყაროს არქიტექტურული მოტივები. არქიტექტურის პროფესიაში შესაძლებელია არასტანდარული, წარმოსახვითი და უნიკალური ნაგებობების დაგეგმვა, ამ პროფესიაში ასევე მნიშვნელოვანია ეკოლოგია, შენობა ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს ბუნებრივ გარემოს. არქიტექტურა შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც პროფესიას, ასევე ფანტაზიის გამოხატვის საშუალებას.

ვანო ძოწენიძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.

ჩემი ინსპირაცია ამ ნახატთან დაკავშირებით არის გაკვეთილი, რომელიც ჩვენმა ხელოვნების მასწავლებელმა აგვიხსნა ნიდერლანდების შესახებ. მე გადავწყვიტე დამეხატა ქარის წისქვილი, რადგან ის არის საწარმო, სადაც ნედლეულის წარმოება ხდება ისე, რომ ბუნებრივი მოვლენის (ქარის) საშუალებით შეიძლება ნაკლები დანახარჯით საწარმოს მუშაობა და ამავე დროს იქნება ეკოლოგიურად სუფთა.

ლიზი ფანჩულიძე, ჩხარის №1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე (სწავლობს თერჯოლის სამხატვრო სკოლაში).

თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრში ყოველწლიურად ტარდება კონკურსები, ამჯერად კი განხორციელდა პროექტი სახელად „ვირჩევ პროფესიას“, რომელთა მიზანიც პროფესიის არჩევაში გვეხმარება და კონკრეტული სფეროსადმი ინტერესის გაღვივების ერთ-ერთი ხერხია. ჩვენს სკოლას წელს ტურიზმის თემატიკა ერგო, რის გამოც გადავწყვიტე, ჩემი ნახატით ტურიზმისა და ბუნების სიყვარული გადმომეცა.



ჩემს ნამუშევარში ასახულია მთაში ლაშქრობის სცენა. გუაშის ფერადი ფერებით შევეცადე, გადმომეცა ბუნების სილამაზე და ის თავგადასავლები, რომლებიც მას ახლავს თან. ნახატის მთავარი გმირია ბიჭი, რომელიც მთისკენ მიუყვება გზას, ზურგჩანთითა და სალაშქრო ჯოხით. ეს ნამუშევარი იმ ადამიანების შესახებაა, რომლებსაც უყვართ ბუნება, თავგადასავლები და ახალი ადგილების აღმოჩენა.

ვიმედოვნებ, რომ ჩემი ნამუშევარი შთააგონებს მნახველს, თავადვე გამოსცადოს მთაში ლაშქრობის სიამოვნება.

ნინი ვაშაყმაძე, კვახჭირის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე.

ქართული-ხალხური ცეკვა ჩემთვის მხოლოდ მოძრაობათა თანმიმდევრობა არ არის, ეს არის სულიერი ფრენა, წინაპართა გრძნობებისა და ღირსების გამოხატულება. სწორედ ამ განცდის გადმოსაცემად დავხატე მოცეკვავეები, რათა ფერებში და ფორმებში დამენახვებინა ის სილამაზე და ენერგია, რასაც სცენაზე ვგრძნობ. როგორც ქართული ცეკვის ანსამბლის წევრი, მინდოდა ტილოზე დამეტოვებინა ჩვენი კულტურის სუნთქვა. ჩემს შემოქმედებით გზაზე უდიდესი წვლილი მიუძღვის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგს, დარეჯან გოგბერაშვილს, რომლისგანაც მივიღე შთაგონება და მხატვრული თავისუფლება!

მართა ტყეშელიაძე, კვახჭირის საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე.

ძალიან მიყვარს ხატვა, ცეკვა და სიმღერა. თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში „მე ვირჩევ პროფესიას“ მონაწილეობა მივიღე ხატვის კონკურსში, სადაც ჩემმა ნახატმა მოწონება დაიმსახურა. კონკურსის პირობების თანახმად უნდა დაგვეხატა რაიმე რაც დაკავშირებული იქნებოდა პროფესიებთან, რადგანაც ჩვენ სკოლას უნდა წარმოედგინა „კულტურა” გადავწყვიტე დამეხატა ბალერინა, რადგან ძალიან მიყვარს მათი ცეკვა. ბალერინები ისე ლამაზად და ნაზად მოძრაობენ, თითქოს ჰაერში დაფრინავენ და მუსიკასთან ერთად რაღაც საოცარ ისტორიას ჰყვებიან.

როცა მათ ვუყურებ, თითქოს ყველაფერი გარშემო მშვიდდება და უფრო ლამაზი ხდება, ამიტომაც მინდოდა, რომ ჩემი ნახატით ეს სილამაზე და შეგრძნება სხვებისთვისაც გამეზიარებინა.

ნატა კენჭოშვილი, ეწრის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე (სწავლობს თერჯოლის სამხატვრო სკოლაში).

ნახატის შექმნის მიზანი იყო ის რომ, მეჩვენებინა თუ რაოდენ მრავალი განსხვავებული პროფესია და გზა არსებობს ცხოვრებაში, რომელიც შეგვიძლია ავირჩიოთ. ყოველივე ეს კი საჭიროებს ცოდნას, წიგნის სიყვარულს, ამიტომაც „ჩემი კომპასის“ ცენტრში წიგნმა დაიკავა სათანადო ადგილი. რაც შეეხება ჩემს მომავალ პროფესიას, ვიმედოვნებ მედიცინას ავირჩევ, რომელსაც ჩემი საყვარელი წითელი ფერის ისარი მივმართე.

კალენდარში შეტანილია: მარიამ ქურცაძის (ღვანკითი), ნინი ღიბრაძის (თუზი), ანასტასია რობაქიძის (სიქთარვა), ილია გამსახურდაშვილის (საზანო), მარიამ გაბადაძის (გოდოგანი), მარიამ ყიფიანის (მზეკაბანი), ილია ამბროლაძე-სოკოლოვის (თერჯოლის №1) ნახატები.

მათზე მომავალ ნომრებში.

ჟუჟუნა ცხადაძე

სპეტაკი და სანთელივით ნათელი კაცი

შოთა რობაქიძე—100



მიმდინარე წელს 100 წელი შესრულდა ღვაწლმოსილი პედაგოგის შოთა რობაქიძის დაბადებიდან. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეწეოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის უმნიშვნელოვანეს ტვირთს ბარდუბნის საჯარო სკოლაში და მისი საქმიანობა იყო უაღრესად ნაყოფიერი. შოთა მასწავლებელს დღემდე სიყვარულით და მოწიწებით იხსენიებენ მისი ყოფილი მოსწავლეები, კოლეგები, თანასოფლელები.

დაიბადა 1925 წელს, 1948 წელს დაამთავრა ბარდუბნის საშუალო სკოლა, 1952 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ბარდუბნის საშუალო სკოლაში, სადაც 2001 წლამდე ანუ პენსიაში გასვლამდე მუშაობდა.

მოგვიანებით დაოჯახდა, თუმცა მეუღლესთან, ქალბატონ სონასთან ერთად, ხუთი შვილი გაზარდა (სამწუხაროდ 2 მათგანი ადრე გარდაეცვალა). მისი შთამომავლობა დღეისათვის 6 შვილიშვილსა და 12 შვილთაშვილს შეადგენს.

სკოლის პარალელურად ბატონი შოთა მუშაობდა ქუთაისის საექსკურსიო ტურისტულ ბაზაში, საიდანაც საუკეთესო მარშრუტებით მოგზაურობდა ამა თუ იმ ქალაქსა და ღირშესანიშნავ ადგილებში. ეცნობოდა, სწავლობდა და შემდეგ ექსკურსანტებს გადასცემდა ამა თუ იმ საექსკურსიო ადგილის ისტორიასა და მნიშვნელობას... მისი ოჯახის არქივში ინახება უამრავი ნივთი, ფოტო მასალა, უნიკალური ფოტოაპარატები, საწერ-კალმებიც კი, რომელსაც შოთა მასწავლებელი მოსწავლეთა ნამუშევრების გასასწორებლად იყენებდა.

ჰყავდა დიდი სამეგობრო წრე, საუკეთესო ადამიანებით. ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ჰქონდათ დიდი, გულწრფელი სურვილი თავიანთი წვლილი შეეტანათ მომავალი თაობის ღირსეულ ადამიანებად ფორმირების საქმეში.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ბატონი შოთა ოჯახში საქმიანობდა, უვლიდა და ახარებდა ვაზს, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. მეუღლე ადრე გარდაეცვალა, რაც თავისთავად მტკივნეული იყო და სიცოცხლის ბოლომდე განიცდიდა. 2006 წლის შობის საღამოს კი თავადაც აღესრულა და 81 წლის ასაკში ზეციურ სამკვიდროში გადაინაცვლა.

თუმცა, მასწავლებლები ხომ თავად იდგამენ უკვდავების ძეგლს თითოეული მოსწავლის გულსა და სულში! შოთა რობაქიძე კი სწორედ ის მოძღვარი გახლდათ, რომელმაც თავის ყოფილ მოსწავლეებს დაუტოვა მაგალითი იმისა, უპირველესად როგორი უნდა იყო ადამიანი, შემდეგ კი როგორ უნდა იშრომო, იბრძოლო თითოეული შეგირდის აღზრდა-განვითარებისათვის და იმისათვის, როგორ დარჩე მთელი ცხოვრების მანძილზე მათი გზის მანათობელ შუქურდ.

ჭეშმარიტი აღმზრდელი—ასეთი დაამახსოვრდათ

მარინე უკლება—ღირსების ორდენის მფლობელი, სერთიფიცირებული პედაგოგი, ქ. ქუთაისის 42-ე საჯარო სკოლა.

„ასწავლო არ ნიშნავს, რომ ხარ პედაგოგი. ამ შემთხვევაში ადამიანი არის მასწავლებელი, მაგრამ მასწავლებელს, რომელსაც შეუძლია ჩასწვდეს თითოეული აღსაზრდელის სულის სიღრმეს და თან ასწავლოს—ეს არის ნამდვილი პედაგოგი. სწორედ ასეთი ჭეშმარიტი პედაგოგი იყო შოთა რობაქიძე, ბარდუბნის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელმაც ღირსეულად განვლო ცხოვრების გზა და რვა ათეულ წელს მიღწეულმა ჯერ კიდევ საღად მოაზროვნემ მარადიულ სამყოფელში გადაინაცვლა.



მის ღირსებას, როგორც უსაყვარლესი მასწავლებლისას განსაკუთრებით მაშინ მივხვდი, როცა სკოლა დავამთავრე და იქ მიღებული ცოდნით ინსტიტუტში ჩავაბარე, როცა თავად დავიწყე მასწავლებლობა და გარკვეული პროფესიული გამოცდილება მივიღე, მაშინ მივხვდი, რომ ჩემმა მასწავლებელმა ამ თვალსაზრისით დიდი დახმარება გამიწია. იგი უნაპირო სიყვარულით ავსებდა თითოეული მოსწავლის გულს, ამკვიდრებდა ჩვენს სულში ფაქიზ გემოვნებას, ორიგინალურ აზროვნებას და რაც მთავარია, გვაწაფებდა ცოდნის წყაროს, გვაზიარებდა კლასიკურ ლიტერატურაში დალექილ სიბრძნეს.

ჩემს ძვირფას მასწავლებელთან ყოველი შეხვედრა იყო საუბარი მამაშვილური, კოლეგიალური და როცა ჩემს რომელიმე წარმატებულ მეთოდზე ვუამბობდი, სახე გაებადრებოდა და სიხარულს ვეღარ მალავდა.

ყველაფრისათვის დიდი მადლობელი ვარ ჩემი ძვირფასი პედაგოგის, მაგრამ ერთი ოცნება ვერ ავისრულე, მინდოდა ჩემი მოსწავლეები და მასწავლებელი ერთმანეთისათვის შემეხვედრებინა დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში ბატონი შოთას 80 წლის იუბილეზე, მაგრამ სამწუხაროდ ვეღარ მოვასწარი...

პედაგოგობა რომ ჩემთვის შემთხვევითი არჩეული პროფესია არ არის და რომელსაც ვერც ერთი სოლიდური ხელფასის პროფესიაზე ვერ გავცვლი, რომ „სკოლა და მოსწავლე ჩემი ცხოვრებაა“—ეს ამაგდარი და ღვაწლმოსილი პედაგოგის შოთა რობაქიძის დამსახურებაა, ამიტომაც ქედს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე... ის სპეტაკი ცხოვრების გზა, რომელიც ბატონმა შოთა რობაქიძემ განვლო და ის სიყვარული, რომელიც მან აღზრდილთა გულებში დატოვა, მაძლევს უფლებას განვაცხადო, რომ ასეთი პედაგოგის სახელი უკვდავია და მარადიული“.

„მასწავლებელო, მე თქვენ მიყვარხართ, მასწავლებელო გისმენთ!“

რუსუდან ბოგვერაძე, ღირსების ორდენის მფლობელი, სერთიფიცირებული პედაგოგი, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა.

არ მეგულება ბარდუბნელი, რომელსაც შოთა მასწავლებელი ასწავლიდა და სიყვარულითა და პატივისცემით არ იხსენებდეს მის სახელს. მე რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარ ეს სწორედ ამ ამაგდარი და ღვაწლმოსილი პედაგოგის დამსახურებაა, რაც დიდი პატივიცაა და პასუხისმგებლობაც. დიახ, ვიხსენებ რა ღვაწლმოსილ პედაგოგს, მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს კიდევ უფრო მიღრმავდება განცდა იმისა, რომ მართლაც უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება სიტყვიერების მასწავლებლებს. მოსწავლეებს ისე უნდა შევაყვაროთ მშობლიური ენა და ლიტერატურა, რომ წლების შემდეგ ჩვენც გავხდეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი სიტყვების „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“ ჭეშმარიტი ადრესატები.

წლებია უკვე მასწავლებელი ვარ და განსაკუთრებით ახლა ვხვდები თუ როგორი პედაგოგი იყო ჩემი შოთა მასწავლებელი. მას ჰქონდა საოცარი უნარი ყველა მოსწავლე ჩაება საგაკვეთილო პროცესში. ის მეთოდები, რომლებსაც ინოვაციური სწავლება სხვადასხვა სახელს არქმევს ჩემი მასწავლებლის წყალობით სულ არ მეჩვენება უცხოდ და სიახლედ. ბატონი შოთას გაკვეთილი, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას ემსახურებოდა, რისი წინაპირობაც ის გახლდა, რომ მასწავლებელი პატივს სცემდა თითოეული ჩვენგანის აზრს.

ყოველ გაკვეთილზე ახალს, მოულოდნელს ველოდით. არასოდეს დამავიწყდება დავით კლდიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი პირველი გაკვეთილი, რადგან იგი ჩატარდა არა საკლასო ოთახში, არამედ—მწერლის სახლ-მუზეუმში. ზღაპრული გარემოსა და შთამბეჭდავი თხრობის გარდა, მან თავის მიერ გადაღებული ფოტოებითაც დაგვიტოვა დაუვიწყარი მოგონებები.



როგორც ნამდვილი პროფესიონალი, ბატონი შოთა ცდილობდა, შესაძლებლობის ფარგლებში მწერლის პირველი ან შემაჯამებელი გაკვეთილები მათ სახლ-მუზეუმში ჩაეტარებინა და ამგვარად ჩვენთვის ახლობელი გაეხადა მათი შინაგანი სამყარო. რაიონულსა თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებს, ჩვენთან ერთად ესწრებოდა, როგორც გულშემატკივარი. ეს კი უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებდა და ვცდილობდით, ყველაფერი კარგად დაგვეწერა.

ბატონმა შოთამ ღირსეული ცხოვრებით იცხოვრა, იღვაწა, აღზარდა თაობები, რომელთა გულებში სიყვარული და მხოლოდ ტკბილი მოგონებები დატოვა. ასეთი პედაგოგების სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.“

აი, ასეთია ყოფილი მოსწავლეებისაგან თავიანთი პედაგოგის შოთა რობაქიძის გახსენება მისი დაბადებიდან 100, ხოლო გარდაცვალებიდან 20 წლისთავზე. მასწავლებლის მიმართ მოგონებები გაუხუნარია და რა დროც არ უნდა გავიდეს, მას დავიწყების ბურუსი არასოდეს დაჩრდილავს. ეს ყველაფერი კი, რაღა თქმა უნდა, საამაყოა ბატონი შოთას ოჯახისათვის, შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილებისათვის თავიანთი მამის, ბაბუის და დიდი ბაბუის ღირსეულად განვლილი გზის გამო.

„ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი, ამბობს ჩვენთან საუბარში ბატონი შოთას შვილი, რეზო რობაქიძე. რამდენი სითბო, სიყვარული, იუმორი... მიმიღია მათგან, მხარდაჭერა და თანადგომა, ხანდახან წკეპელიც (როცა ვიმსახურებდი). ვცდილობ მათნაირი ვიყო (მამაზე და ბაბუაზეა საუბარი), მათ მივბაძო, მათსავით მოვიქცე, ვატყობ ამის რესურსი ცოტა მაქვს“.

რეზო სათუთად ინახავს მამის სხვადასხვა ნივთებს, მათ შორის ძალიან ლამაზ ორიგინალურ ხელნაკეთ საწერ-კალამს „ამ კალმისტრით მამაჩემი ათეული წლების მანძილზე ასწორებდა მოსწავლეთა საკლასო და საკონტროლო წერის რვეულებს, წერდა პედაგოგიური საბჭოს ოქმებს, სხვადასხვა ღონისძიებებისა და შეხვედრების მოხსენებებსა და მისასალმებელ სიტყვებს, უამრავ სხვა მასალას.

☞7

სპეტაკი და სანთელივით ნათელი კაცი

6 ☜

შოთა რობაქიძე—100

საწერ-კალამი მამას ჩემთვის უცნობმა, ვინმე დავითმა აჩუქა თავისივე ხელნაკეთი, რომელმაც რამდენიმე წელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაატარა მეგობრისათვის. მამა ამბობდა, რომ დათიკო იყო ღირსეული და კეთილი პიროვნება... ფოტო-აპარატებს, რომელიც განსაკუთრებით მოწონდა ბავშვობიდან, ასევე ოცნებობდა ბაბუს ხანჯალსა და ხმალზე, რაზედაც ბაბუა ეუბნებოდა, რომ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ მიიღებდა... ამასთან დაკავშირებით კი რეზო აღიარებს ბავშვურ გაუაზრებელ სურვილს, მალე დამდგარიყო ეს.

რეზო და მისი და-ძმა სათუთად ინახავენ როგორც მშობლების, ადრე გარდაცვლილი დედის და მამის, ასევე ბებია-ბაბუის ხსოვნას. რეზოს გული წყდება მამის იმ უნიკალური ჩანაწერების გამო, რომელიც სკოლაში ჰქონდა და დაიკარგა. ამბობს, რომ იგი ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავდა და როგორც სკოლის, ასევე სოფლის ისტორიასთან დაკავშირებით.

დავით კლდიაშვილი—გაზეთ „თერჯოლის“ რედაქტორი.

„ბედნიერი ვარ, რომ ძალიან ახლოს ვიცნობდი ბატონ შოთა რობაქიძეს, ამ რაფინირებულ, ღრმად განათლებულ ინტელიგენტს, რომ იტყვიან სოფლის თვალს. კაცს, რომელიც მუდამ მზად იყო დასახმარებლად, თანადგომისათვის. მას უსაზღვროდ უყვარდა მისი სოფელი, მისი მიწა, ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა...

ბოლოს, ამ ორი წლის წინ, გვესტუმრა რედაქციაში (იგულისხმება „იმერეთის მოამბის“ რედაქცია, 2004 წ.)

ბევრი ვისაუბრეთ სოფლის ჭირ-ვარამზე, ბარდუბნის წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის საუკუნოვან ტაძარზე, სოფლის სკოლის შენობაზე, მდინარე ყვირილაზე დაწყებული და დაუმთავრებელი ხიდის თაობაზე...

სპეტაკი და სანთელივით ნათელი კაცი იყო...

ქედს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე...“

ბატონი შოთას გახსენება გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვებით უნდა დავასრულო:

„უკუეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ე.ი. გყვანან მოწაფენი, რომელთა შენ ასწავლიო ანუ წიგნს ანუ რომელსამე ხელობასა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირუთვნელი ანგარიში უნდა მისცე შენს სინდისსა რა სახით ასრულებდი ამ მოვალეობას წარსულის წლის განმავლობაშია. გახსოვდეს შენ ყოველთვის, რა დიდი საქმე არის მოწაფის გაზრდა, რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისაგან. მასწავლებელმა მარტო წიგნი ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა, არამედ უწინარეს ყოვლის, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, ერთი სიტყვით ქრისტიანობა“.

ასეთი იყო, ამ მრწამსით იღვაწა, იშრომა და დატოვა კვალი ნათელი მომავალ თაობათა მაგალითად.

მზია ცქიფურიშვილი

ღირსეული აღიარება სწავლებისა და აღზრდის მთავარ ძალას

4 ☜

სწორედ მისი სიყვარულით ფიზიკოსობა აირჩია მომავალ პროფესიად.

კარგად უწყობს ფეხს სისტემაში დანერგილ ყველა სიახლეს და აქტიურად მონაწილეობს STEAM პროექტებში.

ელისო ჯანელიძე—თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა.

უკვე 32 წელია სასკოლო საზოგადოებას პროფესიონალიზმითა და ერთგულებით ემსახურება. იდეებით სავსე და ენერგიული პედაგოგის ინოვაციურმა და შემოქმედებითმა საქმიანობამ სკოლა ნამდვილ საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრად აქცია. როგორც თავად აღნიშნავს, მისი ძლიერი მხარე საგანთა ინტეგრაცია და კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობაა — როგორც საკუთარი, ისე სხვა სკოლების მასწავლებლებთან.

მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები და კონფერენციებში მონაწილეობა ცხადყოფს, რომ იგი ზრუნავს არა მხოლოდ საკუთარი პროფესიული

განვითარების, არამედ კოლეგებისათვის გამოცდილების გაზიარებისა და განათლების სფეროს წინსვლისათვისაც.

მისი ჰობი — ქარგვა და ქვისგან ყვავილების ქოთნების დამზადება — ხელოვნებასა და ბუნების ერთიანობაა.

შორენა ტაბატაძე—თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის №2 საჯარო სკოლა

მასწავლებელი, რომლის საქმიანობა სიყვარულსა და პასუხისმგებლობაზეა დამყარებული, რომლის ყოველდღიური მისია ბავშვების განვითარება და განათლებაა. იგი სკოლას აღიქვამს, როგორც მეორე სახლს, სადაც ხელს უწყობს მომავალი თაობის განათლებასა და აღზრდას. აკადემიურ ცოდნასთან ერთად აქცენტს აკეთებს მოსწავლეებში თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის უნარების განვითარებაზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კოლეგებთან გამოცდილების გაზიარებას და ინოვაციური მიდგომების დანერგვას.

ხათუნა გურული—თერჯოლის №1 საჯარო სკოლა

ჩვენ რა უნდა ვთქვათ იმაზე მეტი, რასაც თვითონ, თავისი საქმიანობით ამბობს...

ქმნის ხელოვნების ნიმუშებს და მისი სულიც ხელოვნების ნაწილად იქცა. ჩუმად, თავისთვის უხმაუროდ მიუყვება გზას მწვერვალებისაკენ...

ხატავს, ქარგავს, ერთნაირად იმორჩილებს თექასა თუ გობელინს...

პატარა ხელოვანებსაც ზრდის და აზიარებს დიდ ხელოვნებას...

გამორჩეულია პროფესიონალიზმითა და წრფელი იუმორით...

***

ღონისძიებას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა მამა ანდრია (ყიფიანი), რომელმაც დალოცა დამსწრე საზოგადოება, თერჯოლა და სრულიად საქართველო, ყველას მშვიდობა უსურვა. მიულოცა პედაგოგებს ეს დიდი აღიარება და წარმატებები უსურვა.

სიტყვით გამოვიდა: საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე, საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელი როლანდ ხოჯანაშვილი, ბატონები: მანუჩარ რობაქიძე, გია ბარათაშვილი, ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი, რომლებმაც მიულოცეს დაჯილდოებულ პედაგოგებს ღირსეული ჯილდო და აღიარება, ხაზი გაუსვეს მათ განსაკუთრებულ წვლილს ახალგაზრდების აღზრდის საქმეში, იმ დიდ მისიას, რომელსაც ასრულებენ ათეული წლების განმავლობაში, აკეთებდნენ და აკეთებენ კეთილშობილურ საქმეს, მრავალი ღირსეული და წარმატებული აღზრდილი ჰყავთ. მათვე, ქალბატონ ქეთევანის თხოვნით, დაჯილდოებულ პედაგოგებს გადასცეს სიმბოლური საჩუქრები და სიგელები, თაიგულებიც მიართვეს. სიტყვაში გამოსულებმა მაღალი შეფასება მისცეს ზოგადად პედაგოგთა საქმიანობას, ქეთევან შეყრილაძის ინიციატივებს და ჩატარებული ყოველი ღონისძიების თუ პროექტების განხორციელების მაღალ დონეს.

ასეთია ჩემგან შეძლებისდაგვარად აღწერილი ერთ-ერთი ლამაზი დღე—2025 წლის 28 სექტემბერი. მუნიციპალიტეტის პედაგოგთა რიგებში ჩადგა კიდევ ათი აღიარებული პედაგოგი და გვყავს მრავალი, რომელიც ამ მაღალ ჯილდოს მომავალში დაიმსახურებს...

მალე, 25 ოქტომბერს, დიდი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, უპირველესი მოძღვარის და უკვდავი დედა-ენის ავტორის დაბადების დღეს ქვეყნის მასშტაბით 10 საუკეთესო ისტორიის მქონე მასწავლებელი მიიღებს მასწავლებლის ეროვნულ პრემიას, სპეციალურ სამკერდე ნიშანს და ფულად ჯილდოს. დადგება დრო და იქნებ ახლო მომავალში ამ ჯილდოს მფლობელი გახდეს—თერჯოლელი პედაგოგი.

ფეიერვერკი, ანუ ფერად-ფერადი შუშხუნა—10

დასრულდა ღირსეულ თერჯოლელ პედაგოგთა დაჯილდოების ღონისძიება. აინთო ფერად-ფერადი ათი შუშხუნა და განათდა დარბაზი. დაიწყო მათ ცხოვრებაში ახალი დღე, ახალი შემართებით, მეტი ენთუზიაზმით.

„ქუდი მოიხადე ბატონო, ჩემო, მასწავლებელი მოდის“. გახსოვდეთ, ყველა დიდი და პატარა, დარსა და ავდარში, სიცხესა და სიცივეში, მხოლოდ შენ, მასწავლებელს მოგიხდის ქუდს და მოწიწებით ქუდის მოხდაში განივთდება ქართველი ხალხის ჯანსაღი მარცვალი, რომელმაც იცის მომავლის ფასი, გაცნობიერებული აქვს, რომ ქვეყანას განსწავლული ადამიანი აშენებს.

საზოგადოებისათვის თითოეული დაჯილდოებული პედაგოგის წარდგენის, მათი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ვიდეო-რგოლების ჩვენების შემდეგ მათ საპატივცემულოდ შესრულდა მხატვრული ნომრები. მოწონება დაიმსახურა ცეკვის ანსამბლმა „ჯეოგენმა“, ლუკა რობაქიძის მუსიკალურმა ნომერმა, ალისუბნის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ანსამბლმა, დაჩი საყვარელიძის პროფესიონალურად დოლზე დაკვრამ, ელისო ჯანელიძის და მისი მოსწავლის ცეკვამ, რუსუდან უსუფაშვილის „წინწყარომ“ (მასთან ერთად იმღერეს ინეზა ბუცხრიკიძემ და ბესო დოლაკიძემ), თამარ გოგბერაშვილის მხატვრულად წაკითხულმა ლექსმა, ლალი ვერულაშვილის და „იამეს“ სიმღერამ. ამ ჩართულობამ ერთგვარი ხიბლი შესძინა ღონისძიებას.

ლამაზი დღე იყო, დასამახსოვრებელი, ყველა წამოვიდა იმ რწმენით, რომ თერჯოლელი ახალგაზრდების ბედი საიმედო ხელშია, რომ განათლება ქვეყნის მომავალია.

ღონისძიების დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგაც იყო შესაძლებლობა ყველა მსურველს დაეთვალიერებინა ფოიეში მოწყობილი გამოფენა, რომელიც ასახავდა ათივე დაჯილდოებული პედაგოგის მიღწევებს.

ჟუჟუნა ცხადაძე

„რა ჰქმნა“ ნიჭმა, შრომამ, მონდომებამ...

ანანო აბულაძეს არ დაუმთავრებია თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, სადაც პირველმა მასწავლებელმა მალვინა ზარნაძემ სათუთად მოჰკიდა ხელი, მერხთან მიიყვანა, ტოლებთან დასვა და დედა-ენა გადაუშალა, ასწავლა ანბანი, გაუხსნა გონების კარი, თითის გაყოლებით, დამარცვლით წააკითხა პირველი წინადადებები. მერე იყვნენ სხვები და იყო სხვა მიზანი. ცხრა კლასი რომ დაამთავრა სკოლიდან გავიდა, დასაბუთებული მიზეზით, მაგრამ ჩვენთან საუბარი მაინც თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში გატარებულ ცხრა წელს დაუკავშირა. ანანოს განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს პედაგოგებთან, ამხანაგებთან. მიაჩნია, რომ კლასის ხელმძღვანელის ასმათ ჩიტორელიძის ამაგი ფასდაუდებელია. იგი ანანოსა და მისი თანაკლასელებისათვის, ანანოს თქმით, იყო მასწავლებელი, მშობელი, მეგობარი.

ანანო აბულაძე წარჩინებით სწავლობდა. დიდი იყო ოჯახის გავლენა. ბებია, ქალბატონი ფავრიზი მათემატიკის მასწავლებელი იყო. ანანო რომ დაბადებულა პენსიაზე გასულა, შვილიშვილის აღზრდას უთმობდა დიდ დროს, წამოზრდილს თვლა-ანგარიში ასწავლა და თანდათან ურთულებდა „სასწავლო მასალას“, უღვივებდა მათემატიკის სიყვარულს. ერთგვარი გავლენა მოახდინა დეიდამ, რომელიც მათემატიკოსი იყო, ფიზმათში სწავლის გასაგრძელებლად ამზადებდა ბავშვებს და „აიძულა“ ანანო ფიზმათის მისაღები გამოცდები ჩაებარებინა. ასეც მოხდა, მეშვიდე კლასელის ქუთაისში გაშვება გაუჭირდა ოჯახს, ყველაზე დიდი ანგარიში ბებიას გავუწიეო—ამბობს ანანო, თუმცა არც თვითონ ჰქონია განსაკუთრებული ინტერესი.

ორი შვილი იზრდებოდა ექიმების მამუკა აბულაძის და სოფო ბუსკივაძის ოჯახში. ანანოზე ათი წლით უფროსი ოთო მფარველობდა უმცროს დას. დიდი იყო რაიონში, თავის დროზე კარგად ცნობილი და მაღალი ავტორიტეტის მქონე ოთარ ბუსკივაძის გავლენა ოჯახის ყველა თაობაზე, შვილებზე, შვილიშვილებზე.

დიახ, გავლენები ვახსენეთ, მშობლები, ბებია, ბაბუა, სკოლა, მაგრამ ანანოს ნიჭი მოსდევდა, მონდომება, ყველა საგანს ერთნაირი გატაცებით სწავლობდა, ამასთან სხვა დატვირთვაც ჰქონდა: კონკურსები, კონფერენციები, დეპატ-კლუბები, ცეკვა, მუსიკა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარებულ ღონისძიებებში მუდმივი მონაწილეობა.

მშვენიერების გზაზე

თერჯოლის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლისას, მე-4 თუ მე-5 კლასში გასჩენია კითხვა—საიდან წარმოიშვა მუსიკა. განუმარტეს, როცა წარმატებულს უთხრეს, რომ იყო წითელი დიპლომის კანდიდატი, ხელახლა ამოტივტივდა ინტერესი და ენციკლოპედიაში ამოუკითხავს, რომ იგი შეიძლებოდა წარმოშობილიყო—აღელვებული ინტონაციის საფუძველზე, ნადირ-ფრინველთა სასიყვარულო გამოძახილისაგან, პირველყოფილი ადამიანის შრომითი რიტმით, მაგიური შელოცვების რიტუალისაგან... სულერთია საიდან წარმოიშვა, ყველა შემთხვევაში იგი მშვენიერებაა—ამბობს და სიყვარულით იხსენებს მუსიკის პედაგოგს ლეილა გელაშვილს, კვალიფიციურ სპეციალისტს და საქმეზე შეყვარებულ ქალბატონს.

მისი პირველი კომპიუტერი

ცხრა კლასი რომ დაამთავრა პირველი კომპიუტერი მიიღო. ეს საჩუქარი მისთვის დღესაც ღირებულია, უფრთხილდება და ამბობს, რომ კვლავაც დარჩება იგი მოსწავლეობის ტკბილ მოგონებად.

ასმათ ჩიტორელიძე—ანანოს კლასის ხელმძღვანელი

„ანანო აბულაძე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით. ყოველთვის იყო აქტიური, მიზანსწრაფული, მაძიებელი. ადვილად უღებდა ალღოს ნებისმიერ სირთულეს და პოულობდა პრობლემის გადაჭრის საკუთარ ორიგინალურ გზას. მას არაერთჯერ მიუღია მონაწილეობა სხვადასხვა ოლიმპიადაში, სასკოლო თუ რეგიონულ ღონისძიებებში და ყოველთვის საპრიზო ადგილი მოუპოვებია თავისი შთამბეჭდავი შედეგებით.

ანანომ ჩვენს სკოლაში ცხრაწლიანი სწავლის შემდეგ კიდევ ერთხელ ასახელა თავისი მასწავლებლები და მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნით მოსინჯა ძალები როგორც ქუთაისის N 41-ე (ე. წ. ფიზიკა-მათემატიკური) საჯარო სკოლაში, ასევე - თბილისის N 199-ეში (ე. წ. კომაროვი). მეათე კლასში მისაღები გამოცდები ორივეგან წარმატებით ჩააბარა. აღსანიშნავია ისიც, რომ კომაროვის გამოცდაჩაბარებულთა შორის პირველ ხუთეულში მოხვდა. ქ. თერჯოლის N 1-ელმა საჯარო სკოლამ გზა დაულოცა მას ახალ ასპარეზზე. მისმა მასწავლებლებმა იციან, რომ ანანოს არასოდეს დაავიწყდება ჩვენს სკოლაში გატარებული ცხრა წელი და ყოველთვის იამაყებს პირველი სკოლით.

ამ ფორმალური დახასიათების მიღმა კი უნდა ვიცნობდეთ ანანო აბულაძეს, რომელიც მართლაც მოსწავლის ეტალონი იყო და ყველა მასწავლებელს ყოველთვის ეიმედებოდა... ახალგაზრდას, რომელიც ბუნებამ ფენომენალური ნიჭით, შესანიშნავი მეხსიერებით, ნოვატორული ხედვითა და ორიგინალური აზროვნებით დააჯილდოვა. დიახ, მისი აზროვნება უფრო განსხვავებული და გლობალურია, სწორედ ისეთი, როგორიც სჭირდება 21-ე საუკუნის ღირსეულ მოქალაქეს, მომავლის ადამიანს და მჯერა, რომ ის თავის სიტყვას იტყვის ამ სამყაროში“.

ფიზმათი თუ კომაროვი

წარმატებით ჩააბარა და ერთდროულად ჩაირიცხა კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის და რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში. სწავლის გაგრძელება კომაროვში გადაწყვიტა. ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა, მე-10 და მე-12 კლასის ჩათვლით აქტიურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ოლიმპიადებში. 2023-24 სასწავლო წლებში იყო ეროვნული ოლიმპიადის ფინალისტი მათემატიკასა და ქიმიაში, ასევე ქიმიის ეროვნული ნაკრების რეზერვისტი. 2024-25 სასწავლო წლებში კი ფინალისტი ქიმიასა და მათემატიკაში, ქიმიის ოლიმპიადის გამარჯვებული და ქიმიის ეროვნული ნაკრების წევრი. ქიმიის ნაკრებში მოხვედრა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა: მოსწავლემ უნდა დაძლიოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენ-

ტრის მიერ ჩატარებული ოლიმპიადის პირველი ტური ონლაინ, ხოლო შემდეგ უნდა გამოცხადდეს მეორე ტურზე, რომელიც ძირითადად იმართება ზამთრის არდადეგებზე. ფინალი კი გაზაფხულზე ტარდება. რეიტინგით პირველი 15 მოსწავლე წერს ნაკრების შესარჩევ წერას, შესარჩევის შედეგებით რეიტინგით პირველი 4 მოსწავლე კი ხვდება ნაკრებში. ნაკრების შესარჩევ წერაზე ანანომ დაიკავა პირველი ადგილი. ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადის სილაბუსი (სასწავლო კურსი გეგმა) მნიშვნელოვნად სცდება ეროვნული სასწავლო პროგრამის ფარგლებს. მისი მასალა ძალიან ფართო და კომპლექსურია. მასში გათვალისწინებულია ქიმიის ყველა ძირითადი მიმართულება. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამოცანების ამოხსნის ტექნიკას, კრიტიკულ აზროვნებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. ამ საკითხების დამუშავებაში მოსწავლეს ეხმარებოდნენ ნაკრების მენტორები: ელიზბარ ელიზბარაშვილი, თინათინ ბუთხუზი, სოფო ფაცაცია და ვახო კურცხალია. ანანო ესწრებოდა მათ გაკვეთილებს ონლაინ სკოლა „ზურგჩანთაში“ და პრაქტიკულ მეცადიონეობებს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. „მასალა ძალიან ბევრია, მისი დაძლევა მოითხოვს თავდაუზოგავ შრომას თავად მოსწავლიდან. გადამწყვეტ ფაქტორს ყოველთვის თამაშობს საკუთარ თავზე ყოველდღიური დამოუკიდებელი მუშაობა. დღის განმავლობაში 10 საათიც მიმეცადინია“—თქვა ანანომ და აღარც გიკვირს არც ზემოთთქმული და არც ის, რომ იგი წელს იყო სამ ქვეყანაში სამ სხვადასხვა ქიმიის ოლიმპიადაზე. ერთი გაიმართა ქ. ტაშკენტში, უზბეკეთში; „აბუ-რეიხან ბირუნის ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადა ტარდებოდა 28 მაისიდან 4 ივნისამდე და მომიწია გამეცდინა ბოლო ზარი კომაროვში, რომელიც ტრადიციულად 1 ივნისს იმართება, შემდეგ გავიარეთ ინტენსიური მომზადება ორი კვირის განმავლობაში საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, 5-14 ივლისს კი გავემგზავრეთ ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადაზე არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, დუბაიში, სადაც მსოფლიოს 90 ქვეყნის 360 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, ოლიმპიადა ორ ტურად ჩატარდა. პრაქტიკული ტური და თეორიული ტური 5-5 საათს გრძელდებოდა. ამ ოლიმპიადებიდან ჩვენმა ნაკრებმა სამი მედალი ჩამოიტანა“—ამბობს ანანო და საუბარი კითხვის დასმის გარეშე აღარ გაუგრძელებია.

რა იყო ანანოს წვლილი

ერთ-ერთი მედალოსანი ანანო იყო. გაიცნო ძალიან ბევრი, ქიმიით დაინტერესებული უცხოელი, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა, მიიღო დიდი გამოცდილება. 19-25 აგვისტოს ჩატარდა ქიმიის საერთშორისო ტურნირი ქ. ბუქარესტში, სადაც ანანომ მოიპოვა სპეციალური ჯილდო ამოცანის საუკეთესოდ ამოხსნისთვის და ბრინჯაოს მედალი. რადგან საერთაშორისო ოლიმპიადა ემთხვეოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების თარიღებს, განათლების მინისტრის ბრძანებით ანანო ჩაირიცხა სასურველ უნივერსიტეტში სრული დაფინანსებით. ანანო ახლა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

დამთავრდა ანანოს, როგორც მოსწავლის საერთაშორისო ასპარეზი. ახლა, როგორც სტუდენტს სხვა მიზნები აქვს, დიდი და შორს მიმავალი.

მის განხორციელებაში ხელს შეუწყობს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც დღემდე დაუგროვებია.

***

საუბარი ჩანაწერ-ჩანიშვნა და ეს მოკრძალებული წერილი რომ დავამთავრე, ვიფიქრე იმაზე, ე.წ. დასკვნის სახით რა დამეწერა და გამახსენდა: ახალგაზრდა გოგონას რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ შექმნილი ნახატების პირველ გამოფენაზე, ერთ ქალს ჯანსუღ ჩარკვიანის გასაგონად ჩაულაპარაკებია—რომ გაიზრდება ნეტა რას იზამსო. „არაფერს ქალბატონო, მან უკვე გააკეთაო“—უპასუხია პოეტს.

დიახ, ანანო აბულაძემ უკვე გააკეთა, მაგრამ ანანო არის ახალგაზრდა, რომელიც დაბერდება სწავლაში, ძიებაში, სიახლეების ათვისება-დანერგვაში, გააკეთებს მეტს და მეტს და მაინც დარჩება გასაკეთებელი.

ჟუჟუნა ცხადაძე



შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-32
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
RESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872